1. ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტო სისტემის (ECTS) შემოღებამდე გავლილი უმაღლესი განათლების სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მინიჭებას ახდენს კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისია/კომისიები ან საჭიროების შემთხვევაში სპეციალურად შექმნილი კომისია (შემდგომში: კომისია), რომელიც იქმნება დეკანის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიის შემადგენლობაში შედიან: ა) შესაბამისი მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი და/ან მის მიერ რეკომენდებული პირი/პირები (აკადემიური პერსონალი ან ხელშეკრულებით მოწვეული, შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პირი); ბ) ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენელი/წარმომადგენლები; გ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი/წარმომადგენლები; დ) ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სხვა წარმომადგენლები ფაკულტეტის დეკანის გადაწყვეტილებით.

3. ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტო სისტემის (ECTS) შემოღებამდე გავლილი უმაღლესი განათლების სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მინიჭების სპეციალური კომისიის შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები ფაკულტეტის დეკანის გადაწყვეტილებით.

4. კომისია იკრიბება საჭიროებისამებრ. კომისიის საქმიანობას წარმართავენ თავმჯდომარე და მდივანი. ამ უკანასკნელს ევალება სხდომის ოქმის წარმოება. ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტო სისტემის (ECTS) შემოღებამდე გავლილი უმაღლესი განათლების სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება სხდომის მონაწილეების ხმათა უბრალო უმრავლესობით.

5. კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება და ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტო სისტემის (ECTS) შემოღებამდე სტუდენტის მიერ გავლილი უმაღლესი განათლების სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება ევალება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.

6. კომისიის დასკვნას ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები და მდივანი (იხ. ფორმა 1).

7. ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტო სისტემის (ECTS) შემოღებამდე სტუდენტის მიერ გავლილი უმაღლესი განათლების სასწავლო კურსებისთვის ხდება

პირობითი კრედიტების მინიჭება შემდეგი სისტემის მიხედვით: თითოეული სასწავლო კურსის საკონტაქტო საათებს ემატება დამოუკიდებელი მუშაობის საათები (საკონტაქტო საათების გამრავლებით კომისიის მიერ დადგენილ კოეფიციენტზე: 1,5–ზე ან სხვა ციფრზე) სასწავლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, მიღებული შედეგი იყოფა 25–ზე, ანუ 1 კრედიტის საათების რაოდენობაზე. აღნიშნული წესით დაანგარიშებული არამთელი კრედიტები დამრგვალდება მთელ რიცხვამდე.

8. შეფასების 5 ბალიანი სისტემის 100 ქულიან სისტემაზე გადაყვანა ხდება შემდეგი პრინციპით:

ფრიადი (5)	91 ქულა	A
კარგი (4)	84 ქულა	B
დამაკმაყოფილებელი (3)	69 ქულა	D

9. ე.წ. არადიფერენცირებულ „ჩათვლას“ ენიჭება პირობითი ქულა: სტუდენტის მიერ ყველა საგანში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკული (მთელ რიცხვამდე დამრგვალებული). აღნიშნული პუნქტი მოქმედებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გარიცხული და აღდგენილი, ასევე ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების აღიარების შემთხვევაში. (№98/2010, 13.09.2010)